მიღება-ჩაბარების აქტი

(სახელმწიფო შესყიდვების შესახებ 2015 წლის 23 თებერვლის ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით)

ქ. თბილისი, 26 მარტი, 2015 წელი

ერთი მხრივ, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო (შემდგომში-სამინისტრო), მისამართი: ქ. თბილისი, ჭანტურიას №12, წარმოდგენილი ინვესტიციებისა და ექსპორტის პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის ნინო ცეცხლაძის, სახით (შემდგომში - სამინისტრო), მეორე მხრივ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია (შემდგომში-მერია), მისამართი: ქ.თბილისი, ჟ. შარტავას №7, წარმოდგენილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის საქალაქო სამსახურის უფროსის ირაკლი ბერეკაშვილის სახით (ორივე ერთად შემდგომში - „შემსყიდველი") და მესამე მხრივ, შპს ,,კოლიერს ინტერნეიშენალ ჯორჯია" (შემდგომში - მიმწოდებელი), მისამართი: ქ. თბილისი, კოსტავას ქუჩა 37/39, წარმოდგენილი მისი დირექტორის, ირაკლი კილაურიძის სახით, როგორც ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" (სამინისტროს მხრიდან მინიჭებული ნომერი N112, მერიისგან მინიჭებული ნომერი N4.9/10/83) 2015 წლის 23 თებერვლის ერთობლივი ხელშეკრულების მხარეები, ვადასტურებთ, რომ მიმწოდებელმა 2015 წლის 26 მარტისთვის დასრულებული სახით მიაწოდა შემსყიდველებს, ხოლო შემსყიდველებმა მიიღეს ზემოაღნიშნული ხელშეკრულების საფუძველზე განხორციელებული მომსახურება, კერძოდ: 2015 წლის 10-13 მარტს საფრანგეთში, ქ. კანში გამართულ უძრავი ქონების საერთაშორისო გამოფენა MIPIM 2015-ში შემსყიდველების მონაწილეობის მიზნით მიმწოდებლის მიერ შეხვედრების ორგანიზება და საგამოფენო დარბაზში შესასვლელი ბილეთებით შემსყიდველების უზრუნველყოფა. 2015 წლის 26 მარტს კი მიმწოდებელმა შემსყიდველს წარუდგინა ანგარიში (რეპორტი) შესრულებული სამუშაოს შესახებ 2 (ორი) ეგზემპლარად - 1 ეგზემპლარი სამინისტროს და 1 ეგზემპლარი - მერიას.

მხარეები ადასტურებენ, რომ მომსახურება შესრულდა 2015 წლის 23 თებერვლის N112, 4.9/10/83 ხელშეკრულების პირობების ზუსტი დაცვით და მისი ღირებულება შეადგენს:

30 900 (ოცდაათიათას ცხრაასი) ევროს, რომლის გადახდა განხორციელდა წინასწარ ავანსის სახით გადახდის დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით შემდეგი სახით:

სამინისტროს მიერ გადახდილია 10 300 ევროს ექვივალენტი ლარი, რაც გადახდის დღეს დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით არის 26 341 (ოცდაექვსიათას სამას ორმოცდაერთი) ლარი, მერიის მიერ გადახდილია 10 300 ევროს ექვივალენტი ლარი, რაც გადახდის დღეს დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით არის 25 044.45 (ოცდახუთიათას ორმოცდაოთხი ლარი, ორმოცდახუთი თეთრი), ხოლო 10 300 ევროს ექვივალენტი ლარის - 24 728.24 (ოცდაოთხიათას შვიდას ოცდარვა ლარი, ოცდაოთხი თეთრი) ლარის გადახდა მოხდა საქართველოს მთავარობის 2015 წლის 13 თებერვლის N266 განკარგულების შესაბამისად

მიღება-ჩაბარების აქტი შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 5 (ხუთი) ეგზემპლარად, საიდანაც 2-2 ეგემპლარი გადაეცემა მერიას და სამინისტროს, ხოლო ერთი ეგზემპლარი - მიმწოდებელს.

სამინისტრო	მერია	მიმწოდებელი
საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო საიდ. კოდი: 203840433 ს: ქ.თბილისი, ჭანტურიას ქ№12 საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა კოდი: TRESGE22 ანგ: 200122900	ქ .თბილისის მერია ქ.თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7 სს „ლიბერთი ბანკი" ბანკის კოდი: LBRTGE22 საიდ. კოდი: 204521794 ანგ: GE95LB0125152101627000	შპს ,,კოლიერს ინტერნეიშენალ ჯორჯია'' ქ.თბილისი. კოსტავას ქ. №37/39, სს "თი ბი სი ბანკი", TBCBGE22 ანგარიშსწორების ანგარიში № GE37TB7158036050100001 საიდ. კოდი: 405029810
ნინო ცეცხლაძე ინვესტიციებისა და ექსპორტის პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი	ირაკლი ბერეკაშვილი ეკონომიკური პოლიტიკის საქალაქო სამსახურის უფროსი	ირაკლი კილაურიძე დირექტორი